საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/8523
20/09/2023

8523-09-2-202309201209

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეს
ელგუჯა ბაგრატიონს

ბატონო ელგუჯა,

N 09-02-16/518 წერილის პასუხად გიგზავნით სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ანბანის კოშკის მიმდებარედ განთავსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ჩატარებული ინსპექტირების შესაბამისობის შეფასების აქტებს (იხილეთ 9 დანართი), სადაც დეტალურად არის აღწერილი ობიექტებში არსებული ვითარება, მათ შორის, შეუსაბამობები, რომლებზეც გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები და გატარდა კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები.
ასევე გაცნობებთ, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით და წარმოადგენს ბიზნესოპერატორთა მიმართ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების 2023 წლის სამოქმედო გეგმას.
სახელმწიფო კონტროლი არ ვრცელდება ფიზიკური პირის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებაზე, ასევე პირველად წარმოებაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად არის ოჯახური წარმოების სუბიექტი.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge